კახა კუკავა - საარჩევნო ბლოკი "დიმიტრი ლორთქიფანიძე, კახა კუკავა - დემოკრატიული მოძრაობა - თავისუფალი საქართველო"

პარტია “თავისუფალი საქართველოს” ლიდერი.

დაბადების თარიღი: 1976 წლის 12 ივლისი, თბილისი;

განათლება:

171-ე საშუალო სკოლა;

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი (წარჩინებით).

სამუშაო გამოცდილება:

1997-1999 - მუშაობდა საქართველოს იუსტიციის საბჭოში (კონსულტანტად, შემდგომში – სექტორის უფროსად). 1999-2001 საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსის თანაშემწე, განყოფილების უფროსის მოადგილე, სამმართველოს უფროსის მოადგილე.

2001 წლიდან, სახელმწიფო სამსახურიდან გადადგომის შემდეგ, დაკავებულია კერძო საადვოკატო პრაქტიკით.

2004 - არჩეულ იქნა საქართველოს პარლამენტის წევრად. პრაქტიკულად არჩევისთანავე სააკაშვილის პოლიტიკის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად დატოვა საპარლამენტო უმრავლესობა (ამავე პერიოდში საქმიანობა შეწყვიტა მისმა იურიდიულმა ფირმამაც).

იყო არაერთი საკანონმდებლო ინიციატივის ავტორი, მ. შ: გირგვლიანის კომისიის შესახებ, ლუსტრაციის კანონპროექტისა, შევარდნაძის პერიოდში რეპრესირებულთა რეაბილიტაციის შესახებ (ეს უკანასკნელი მიღებულ იქნა პარლამენტის მიერ).

იყო ფრაქციის - „დემოკრატიული ფრონტი” თავმჯდომარე.

2010 - არჩეულ იქნა თბილისის საკრებულოს წევრად, სადაც პერიოდულად (როტაციის საფუძველზე) ასრულებს ფრაქციის თავმჯდომარის მოვალეობებს.